საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დარბაზული ეკლესია

დარბაზული ეკლესია, საეკლესიო ნაგებობის ერთ-ერთი სახეობა. ჩვეულებრივ შედგება საკურთხევლისა და ერთი ნავისაგან, რ-იც გადახურულია ორკალთიანი სახურავით და ზოგჯერ ეგვტერები და გარშემოსავლელიც აქვს.

არის ისეთი დ. ე-ებიც, რ-ებსაც თანაბარი სიმაღლის ნავები ან რამდენიმე მაღალი უსარკმლო შუა ნავი აქვთ. აღორძინების ეპოქიდან ევროპაში დ. ე-ებს თითქმის აღარ აშენებდნენ.

საქართველოში გავრცელებული დ. ე. ერთნავიანია.

იხ. ერთნავიანი ეკლესია.